

ანგარიშის ფორმა

2017

## ნაწილი I - ორგანიზაციის საქმიანობის აღწერა

1. **1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ- (დასახელება-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი**
  - 1.1. იურიდიული სტატუსი *საჯარო სამართლის იურიდიული პირი,*
  - 1.2. მისამართი: ქ.გორი, სამეფო ქ. 17,
  - 1.3. ტელეფონი +995 370 273511,
  - 1.4. ელ.ფოსტა [gori.college@yahoo.com](mailto:gori.college@yahoo.com) , ვებ გვერდი [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge) )
2. ორგანიზაციის ხელმძღვანელი- ნადეჟდა მანჯავიძე, მობ.:599 55 22 73 e-mail [naiko212@yahoo.com](mailto:naiko212@yahoo.com) , თანამშრომელთა საერთო რაოდენობა-48
3. შესავალი

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი 1963 წლიდან მოქმედი სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე დაფუძნდა. თითქმის 50 წლის განმავლობაში სასწავლებელი ქალაქისა და რეგიონის მუსიკალური ცხოვრების ცენტრი იყო და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მის სულიერ და კულტურულ დონეს, ამზადებდა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებს შიდა ქართლის სამუსიკო სკოლებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კოლექტივებისათვის. სამწუხაროდ, განათლების სისტემაში გატარებული რეფორმების შედეგად, 2006 წლიდან სამუსიკო სასწავლებლებში შეწყდა სტუდენტთა მიღება და გორის სამუსიკო სასწავლებელი(იმჟამად უკვე კოლეჯი) მიღევად რეჟიმში აღმოჩნდა. შედეგად დაირღვა უწყვეტი სამუსიკო განათლების (სამუსიკო სკოლა-სასწავლებელი-კონსერვატორია) სისტემა, აღარ ხდებოდა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადებაც.

2010 წელს ახალდაფუძნებულ უმაღლეს სამუსიკო კოლეჯში ჩატარდა პირველი მიღება უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ოლეჯის აკადემიური პერსონალი დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური კადრებით. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11

მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე კოლეჯთან დაფუძნდა სამუსიკო სემინარია, სადაც სწავლობენ განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული მოსწავლეები შიდა ქართლის ყველა რაიონიდან.

2011 წელს, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოხდა განათლების სისტემის მორიგი ძირეული რეფორმირება და კოლეჯის რეორგანიზაცია სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯად. დღეს ის ერთადერთი ავტორიზებული პროფესიული სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც, პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, ახორციელებს V საფეხურის პროფესიულ სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს. ეს პროგრამებია:

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) –ფორტეპიანო;

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) –ვიოლინო;

გუნდის ლოტბარი/რეჟენტი;

ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი.

2013 წლიდან კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი პროფესიული ტესტირების საფუძველზე, შემოქმედებითი ტურების შედეგების გათვალისწინებით.

#### 4. მართვის სისტემა

##### 4.1. მისია, ხედვა, მიზნები და ამოცანები (სტრატეგიული გეგმა)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მისია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №153/ზ დამტკიცებულ ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის წესდებაში.

ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის მისიაა ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – პროგრამები) განხორციელება. დასახული მისიის განსახორციელებლად ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი:


- ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- გ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ე) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- თ) ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესის II თავის მე-4 მუხლის I პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებს (ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე), რომლებსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;

კ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში ხორციელდება მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული მეხუთე საფეხურის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტანდარტების მიხედვით (ბრძ.#258,15.08.2013). პროგრამები განხლებული სახით დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძ.#1/34,12.09.2016), შედგენილია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის,“ „სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეფასებისა და განხორციელების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, თან ახლავს შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**4.2.ორგანიზაციის სტრუქტურა**

- წარმოადგინეთ ორგანიზაციის სტრუქტურა;



- აღწერეთ როგორ არის განაწილებული ფუნქცია-მოვალეობები თანამშრომლებს შორის და ხომ არ ხდება მათი დუბლირება;

თანამშრომელთა შორის ფუნქცია-მოვალეობების განაწილება განსაზღვრულია კოლეჯის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციით(ბრძანება #1/39, 12.09.2016 წ). და არ ხდება მათი დუბლირება.

აღწერეთ გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და კომუნიკაციის არსებული სისტემა.

კოლეჯში გადაწყვეტილებების მიღება, თანამშრომლებსა და სტუდენტებთან კომუნიკაცია ხდება კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და პროფესიული პედაგოგის ეთიკის კოდექსის შესაბამისად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №153/ნ დამტკიცებული წესდების თანახმად საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოებია საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი და საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო.

**მუხლი 5 : საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი:**

- ა) ახორციელებს საზოგადოებრივი კოლეჯის მართვას;
- ბ) წარმოადგენს საზოგადოებრივი კოლეჯს მესამე პირებთან ურთიერთობებში;
- გ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესს, ბიუჯეტს და საშტატო განრიგს;
- დ) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საზოგადოებრივი კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;
- ე) საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;
- ვ) კანონმდებლობით დადგენილი წესით სამეთვალყურეო საბჭოს პროფესიული სტუდენტის მშობელთა ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლების არჩევის მიზნით ქმნის საარჩევნო კომისიას, ადგენს სამეთვალყურეო საბჭოს პროფესიული სტუდენტის მშობელთა ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლების არჩევნებთან დაკავშირებულ ვადებს;
- ზ) არა უგვიანეს პირველი თებერვლისა აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს საზოგადოებრივი კოლეჯის საგანმანათლებლო, ფინანსური და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;
- თ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთათვისაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა; აუცილებელია სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა ისეთი გარიგებების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება საზოგადოებრივი კოლეჯის ბიუჯეტის 5%-ს;
- ი) წარმართავს და ზედამხედველობს საზოგადოებრივ კოლეჯში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და სასწავლო პრაქტიკას;
- კ) ასრულებს საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოების ფუნქციებს ახლად დაფუძნებული ან/და რეორგანიზებული საზოგადოებრივი კოლეჯის პირველი სამეთვალყურეო საბჭოს შექმნამდე;
- ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 6. საზოგადოებრივი კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭო**

1. საზოგადოებრივი კოლეჯის უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან.
2. სამეთვალყურეო საბჭო:
  - ა) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი კოლეჯის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;
  - ბ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი კოლეჯის შინაგანაწესს და სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგს;
  - გ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას;
  - დ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საზოგადოებრივი კოლეჯის სამოქმედო გეგმას;
  - ე) აკონტროლებს დირექტორის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;
  - ვ) ითანხმებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივი კოლეჯის წესდების პროექტს და წარუდგენს სამინისტროს დასამტკიცებლად;
  - ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

**5. ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა (სერვისები, პროგრამები, პროექტები)****5.1 ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვის წინაპირობები**

- აღწერეთ ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვის წინაპირობები (რა ტიპის საქმიანობის, რომელი კვლევების შედეგებისა და/ან სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ხდება ორგანიზაციის საქმიანობის დაგეგმვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- გორის სამუსიკო კოლეჯს შემუშავებული და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული განვითარების გეგმებში დასახული ამოცანები შეესაბამება კოლეჯის მისიას, ექვსწლიანი გეგმა შემუშავებულია პროგრამის სახით, SWOT ანალიზისა და გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით და ითვალისწინებს კოლეჯის საგანმანათლებლო, საშემსრულებლო და შემოქმედებითი საქმიანობისა და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესებისათვის გასატარებელ ღონისძიებებს. ერთწლიან გეგმაში დეტალურადაა წარმოდგენილი მატერიალური და ადამიანური რესურსების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ამოცანები. კოლეჯი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

სამინისტროსთან ხელშეკრულების გასაფორმებლად ყოველწლიურად წარადგენს ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ერთწლიან სამოქმედო პროგრამას, სამოქმედო გეგმა-გრაფიკს და საშტატო განრიგს. 2016 წელს დამტკიცებული კულტურის სტრატეგიის პოლიტიკის შესაბამისად, მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში შემუშავდა აგრეთვე კულტურის სტრატეგიის პრიორიტეტების 2017-2018 წლების პრიორიტეტების გეგმა, სადაც განისაზღვრა გორის სამუსიკო კოლეჯის სტრატეგიის პრიორიტეტებიც.

## 5.2 ბენეფიციართა და სამიზნე ჯგუფების შერჩევა

კოლეჯის აღწერეთ რა კრიტერიუმებით ხდება ბენეფიციართა და სამიზნე ჯგუფების შერჩევა; კოლეჯს ჰყავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომელიც:

- ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;
- მოვალეობები:
- აბიტურიენტებთან ურთიერთობა და მათი ინფორმირება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის, პრეზენტაციების ორგანიზება საზოგადოებისათვის;
- სტუდენტთა ღონისძიებების ორგანიზება;
- სტუდენტების პრაქტიკის ობიექტებზე განაწილება და ზრუნვა მათი შემდგომი დასაქმების კუთხით;
- რეესტრში სტუდენტების, მათ შორის კურსდამთავრებული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის მუდმივი განახლება და მათი ასახვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- სტუდენტებთან მუშაობა და თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურად გამოკვლევა;
- ბიზნეს-კონფერენციების ორგანიზება; სტუდენტების, პედაგოგების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ინტერვიუება კოლეჯის ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული და ონლაინ-კითვარების საშუალებით
- დამსაქმებელთან შეხვედრები, მათთან მუშაობა სტუდენტების პრაქტიკასა და დასაქმებასთან დაკავშირებით მათი რჩევების გაზიარება;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- SWOT ანალიზების ჩატარება კოლეჯში;
- ასრულებს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოვალეობებს;
- კოლეჯის საქმიანობისთვის პიარ სტრატეგიის დაგეგმვა და განხორციელება;
- პიარ ლიტერატურის – ფლაერების, ბუკლეტების და სხვ. შექმნა-გავრცელებაში, ასევე საიმიჯო და საინფორმაციო სტატიების მომზადებაში მონაწილეობა, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელება;
- კოლეჯის საქმიანობის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების/ან რადიოსა და ტელევიზიაში გასული სიუჟეტების ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში საპასუხო მასალების მომზადება და გავრცელებისთვის საკომუნიკაციო არხების შერჩევა;

## 1. ადამიანური რესურსები

### 1.1. ზოგადი ინფორმაცია სამსახურში/სტრუქტურულ ერთეულებში არსებული ადამიანური რესურსების შესახებ

- წარმოადგინეთ ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციაში არსებული ადამიანური რესურსის შესახებ

კოლეჯის თანამშრომელთა რაოდენობა სულ 44-ია, აქედან, მასწავლებელთა ჩათვლით, შტატში სულ 39 ადამიანია (37 სახელმწიფო ბიუჯეტის, 2 საკუთარი შემოსულობების დაფინანსებით). შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა კი 5-ია. შტატში მომუშავე ყველა თანამშრომელს და ყველა მასწავლებელს აქვს დაკავებული პოზიციის შესაბამისი უმაღლესი განათლება (დანართის სახით წარმოგიდგენთ სამტატო ნუსხას სახელფასო განაკვეთების მითითებით, სამუშაოს აღწერილობები, ცხრილის ნიმუში, იხ. დანართი #1;

ზოგადი ინფორმაცია მოსწავლეთა კონტიგენტის შესახებ

გორის ს.ცინცადის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივ კოლეჯში ხორციელდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზებული მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) – ფორტეპიანო; 180 კრედიტი, სწავლების ვადა-30 თვე

შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმასტერი) – ვიოლინო; 180 კრედიტი, სწავლების ვადა-30 თვე

გუნდის ლოტბარი/რეგენტი; 120 კრედიტი, სწავლების ვადა-20 თვე

ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი. 180 კრედიტი, სწავლების ვადა-30 თვე

დღეისათვის კოლეჯში სწავლობს 21 სტუდენტი.

კოლეჯთან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსების ფარგლებში მოქმედ სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე (ფორტეპიანო, სიმებიანი საკრავები, საგუნდო-სადირიჟორო) სწავლება ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სამუსიკო თერთმეტწლეულების სასწავლო გეგმის შესაბამისად. სულ ამ პროგრამების I-XI კლასებში სწავლობს 100 მოსწავლე. იხ. დანართი #2

#### თვითშეფასება/შეფასების სისტემა

აღწერეთ ორგანიზაციაში არსებული თვითშეფასება/შეფასების სისტემა;

ყოველწლიურად, ივნისის ბოლოს, კოლეჯი ვალდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს თვითშეფასების კითხვარი-წლიური ანგარიში, სადაც თავმოყრილია სრული ინფორმაცია დაწესებულებისა და საანგარიშო პერიოდში საქმიანობის შესახებ, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზისა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის გათვალისწინებით. გარდა ამისა, 2016 წელს კოლეჯმა გაიარა მორიგი ავტორიზაციის პროცედურა, და ხარისხის ცენტრში წარადგინა ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარი, იურიდიული სტატუსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, კოლეჯში განხორციელებული სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების, დაწესებულების წესდების, შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის,

ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების ამსახველი სხვა დოკუმენტაციის შესახებ; დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფართის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაწესებულების სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების დებულებები/ფუნქციონირების მარეგულირებელი დოკუმენტ(ებ)ი; დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები; დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის - პროფესიული მასწავლებლების/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (Curriculum Vitae, კვალიფიკაციის, პროფესიული გამოცდილების, სპეციალური მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია); დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის / პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან - პროფესიულ მასწავლებლებთან/მოწვეულ პერსონალთან დადებული მოქმედი შრომითი ხელშეკრულებები; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია. SWOT ანალიზი, დადასტურებული თანდართული სათანადო დოკუმენტებით. ავტორიზაციის მთელმა პროცედურამ წარმატებით ჩაიარა: 2016 წლის 22 დეკემბერს კოლეჯს 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება და მისი კონტინგენტი განისაზღვრა 200 ადგილით.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სისტემა: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცების შეფასებისა და განხორციელების წესი; ანკეტა-კითხვარები: სილაბუსების შემოწმების ფორმა; კითხვარი სტუდენტებისათვის; სამუშაო გარემოს შესწავლა; კითხვარი პროფესიული მასწავლებლებისათვის; დამსაქმებლის კითხვარი; პედაგოგთა თვითშეფასების კვლევა, რომელთა საფუძველზეც ახდენს სასწავლო პროცესის სისტემატურ მონიტორინგს. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებისათვის და სტუდენტებთან და მასწავლებლებთან უკუკავშირის განხორციელებისათვის შემუშავებულია ანკეტა-კითხვარები, რომელთა შედეგების განზოგადება ხდება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სისტემატურად წარმოებს ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი. სამმა კურსდამთავრებულმა გააგრძელა სწავლა, გამოკითხვა ხდება როგორც ანონიმურად, ისე ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო ინტერვიუს საშუალებით, პროფესიული განათლების ცენტრისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ონლაინ-კითხვარებით: პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და მისი ხარისხის მდგომარეობის შეფასება. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ კურსდამთავრებულთა 51%-ზე მეტი დასაქმდა სპეციალობით, კულტურის სახლებში, სამუსიკო და საჯარო სკოლებში გუნდის ხელმძღვანელებად, და კონცერტმაისტერად, ეკლესიებში მგალობლებად, არასამთავრობო სექტორში, იძულებით გადაადგილებულთა ფსიქორეაბილიტაციის ცენტრში მუსიკის მასწავლებლად, გორის ქალთა კამერულ გუნდში, ხალხური სიმღერის ანსამბლებში, კერძო სექტორის დაწესებულებებში მომღერლებად. აქვთ პირველი

წარმატებებიც: საგუნდო კოლექტივები გუნდის ლობარის/რეგენტის პროგრამის კურსდამთავრებულების, მანანა ხმიადაშვილის და გიორგი ხასიშვილის ხელმძღვანელობით ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების პირველ და მეორე ეროვნულ კონკურსებზე ლაურეატები გახდნენ, ხოლო კოლეჯის მოსწავლეთა გუნდმა გრან-პრი და ოქროს მედალი მოიპოვა. 2016 წლის თებერვალში, თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში კოლეჯის გუნდმა საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან და მსოფლიო დონის მევიოლინე გიდონ კრემერთან ერთად პირველად საქართველოში შეასრულა კომპოზიტორ გია ყანჩელის „სევდის ანგელოზები“. ხოლო წელს, 27 მარტს მოცარტის და მალერის ნაწარმოებები, სოლისტი – ნინო სურგულაძე. საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსის „მომავლის ვარსკვლავები“ ლაურეატი გახდა პროფესიული პროგრამის შემსრულებელ-ილუსტრატორი (კონცერტმაისტერი) სტუდენტი ლაშა მუზაშვილი, მან გაიმარჯვა ნომინაციაში „საინტერესო ექსპერიმენტი“. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესისა და საშემსრულებლო პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული ხარისხის მაჩვენებელია სწორედ ასეთ ღონისძიებებში სტუდენტთა და მოსწავლეთა მონაწილეობა. იმართება ღია კარის დღეები და პრეზენტაციები კოლეჯში სწავლის მსურველთათვის, კონცერტები და პრეზენტაციები საზღვრისპირა სოფლებში. კოლეჯის პედაგოგთა საავტორო, სოლო და კლასის კონცერტები სტუდენტების მონაწილეობით..

### *1.2. პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებელი ტრენინგ-კურსები*

წარმოადგინეთ ზოგადი ინფორმაცია წლის განმავლობაში თანამშრომლების მიერ პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განხორციელებული აქტივობების შესახებ (ტრენინგები, კურსები და ა.შ.). დანართში წარმოადგინეთ დეტალური ინფორმაცია ცხრილის სახით. იხილეთ ცხრილის ნიმუში, **დანართი#3** (დანართს ავსებთ ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის განხორციელებული აქტივობების არსებობის შემთხვევაში)

2017–2018 წლებში პროფესიული განათლების სისტემაში ხდება ჩარჩო–დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ახალი პროფესიული სტანდარტების მიხედვით შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (ე.წ. მოდულური პროგრამები) დანერგვა. კოლეჯის რამდენიმე პედაგოგი ჩართული იყო ამ პროგრამების შემუშავების პროცესში. დანარჩენებმა კი გაიარეს რამდენიმე ტრენინგი ახალი მოდულების, შეფასების სისტემისა და სწავლების მეთოდების გასაცნობად. (იხ. დანართი #3).

## **2. მატერიალურ - ტექნიკური რესურსები**

ზოგადად აღწერეთ ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: ფართი, საოფისე და ტექნიკური აღჭურვილობები, საკანცელარიო ნივთების მოცულობა და სხვა დამხმარე მასალები. შეაფასეთ რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული რესურსები მის საჭიროებებს. იხილეთ ცხრილის ნიმუში, **დანართი#4**

სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი მდებარეობს ორსართულიან კაპიტალურ შენობაში, რომლის დიდი ნაწილი უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემულია საზოგადოებრივი კოლეჯის ინდივიდუალურ სარგებლობაში და საერთო სარგებლობის ფართის 1/2-ში სსიპ გორის ქალთა კამერულ გუნდთან. კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა, ფონოტეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და 22 სასწავლო აუდიტორია, სარეპეტიციო და დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზები . სასწავლო აუდიტორიები, საკონცერტო, სარეპეტიციო და სპორტული დარბაზები აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარით, კოლეჯში არის 16 როიალი, 13 პიანინო, 1 არფა, 6 ვიოლინო, 2 ჩელო, 1 კონტრაბასი, ლიტავრებისა და სასულე საკრავების თითო კომპლექტი, 3 ფლეიტა; მერხები, მაგიდები, დაფები და სხვა ინვენტარი. საკონცერტო დარბაზში დამონტაჟებულია 213 სავარძელი. რამდენჯერმე განახლდა ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის ინვენტარი, კარადები, საწერი მაგიდები. კოლეჯში არის ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გარემონტებული სანიტარული კვანძები (4 წერტილი), წყლის, ბუნებრივი აირის მოწოდება ხდება უწყვეტად. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა ბუნებრივ აირზე მომუშავე საქვაბე სისტემით, შენობაში არის ბუნებრივი განათება და ვენტილაციის (კონდიციონერების) სისტემები. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

- ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
- გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

კოლეჯს აქვს 2009–2010 წლებში შეძენილი 14 კომპიუტერი, აქედან 1 ლეპტოპი, ციფრული ჩამწერი, მოსასმენი და გადამღები აპარატურა, 2 პრინტერი და 5 კომბაინი. მონიტორი(ტელევიზორი). ინტერნეტში ჩართულია 14 კომპიუტერი, მათ შორის, სტუდენტთა სარგებლობაშია 8. მოდულურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობს რესურსების მოძიება ახალი კომპიუტერული ტექნიკისა და პროექტორის შესაძენად და სასწავლო გარემოს უკეთესად აღჭურვისათვის.

სამწუხაროდ, სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო, მიმდინარე წელს ვერ მოხერხდა სასწავლო გარემოს სრულად ადაპტირება მოდულური პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად (საჭიროა დამატებით მოდულური პროგრამებით გათვალისწინებული სიმძლავრის კომპიუტერული ტექნიკის, პროექტორისა და სხვა ახალი ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა), ამიტომ სამუსიკო ხელოვნების იმ ორი მოდულური პროგრამის დამატება, რომლის დანერგვაზეც ვმუშაობდით, 2017 წლის შემოდგომის მიღებისთვის გადაიდო.

კოლეჯს აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. კოლეჯის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, საინვენტარო წიგნის თანახმად, შეადგენს 9977 ერთეულს.

ბიბლიოთეკაში არის ლიტერატურა ქართულ და უცხოურ ენაზე. აღრიცხულია ბიბლიოთეკისათვის დადგენილი წესით. არსებობს კატალოგი (ბეჭდური და ელექტრონული). კატალოგი არის ქაღალდის (ანბანური და თემატური) და ელექტრონული. წარმოებს მკითხველთა ბარათები. არსებული ლიტერატურა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. წიგნადი ფონდი აღრიცხულია ძირითად საშუალებებში, სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულებას აქვს ფონოტეკა, რომელშიც დაცულია 1515 ერთეული ფირფიტა, აუდიო და ვიდეო დისკი მოსასმენი სასწავლო მასალით (სილაბუსებში მითითებული სავალდებულო მოსასმენი მასალა მთლიანად გადატანილია SD და DVD დისკებზე(322 ერთ) . ფონოტეკა და ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებით, ქსეროქსით,პრინტერითა და სკანერით (კომბაინი); მოსასმენი, ჩამწერი და გადამღები აპარატურით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ახალი დებულება, დამტკიცებული კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #1/26 29.07.2016 წ.)

სისტემატურად ხდება ბიბლიოთეკისა და ფონოთეკის შევსება ახალი მასალით, შემოწირული ლიტერატურით, ამჟამად მიმდინარეობს ბიბლიოთეკის ფონდების შევსება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებით გათვალისწინებული სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის და აუდიო -ვიდეო მასალის განახლება გათვალისწინებულია როგორც ერთწლიანი, ასევე ექვსწლიანი სამოქმედო გეგმითაც.

კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ფართზე არის ადაპტირებული გარემო სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის, მეორე სართულზე ასასვლელი მრგვალი კიბე არ იძლევა პანდუსის დამონტაჟების საშუალებას, ამიტომ პირველ სართულზე მათთვის შექმნილია ყველა პირობა სწავლისა და საკონცერტო გამოსვლებისათვის, კერძოდ, დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები და 1 ადაპტირებული სველი წერტილი. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია პიროვნებები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფენ მათ გადაადგილებასა და კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან

დანართის სახით წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:

1. შენობის საერთო ფართი
2. მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდენობისა და დაკავებული ფართის თანაფარდობა;
3. ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი, პროექტორი, სკანერი და ა.შ.);
4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაციის მიერ გაკეთებული მოთხოვნების სტატისტიკა;

### 3. ორგანიზაციის ბიუჯეტი (იხ. დანართი #5)

#### 8.1

-საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან/ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული წლიური საბიუჯეტო დაფინანსება; სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის 2016 წლის ბიუჯეტი იყო ლარი. აქედან -საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან მიღებული წლიური საბიუჯეტო დაფინანსება 242 000 ლარი, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო ვაუჩერი

სხვადასხვა პროექტებიდან/პროგრამებიდან, გრანტებიდან მიღებული თანხის რაოდენობა (მე-8 პუნქტის ინფორმაცია წარმოადგინეთ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

#### 4. საკომუნიკაციო სტრატეგია: თანამშრომლობა და ანგარიშვალდებულება

##### 9.1 შიდა და გარე კომუნიკაცია

- აღწერეთ შიდა და გარე კომუნიკაციის რა საშუალებებს იყენებთ ორგანიზაციაში (მაგ. ოფიციალური კორესპონდენცია, პირადი შეხვედრები, ღია კარის დღეები, სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და ა.შ.).

კოლეჯის საქმიანობის გასაშუქებლად და ბენეფიციართა ინფორმირების მიზნით კოლეჯი იყენებს შიდა და გარე კომუნიკაციის ყველა საშუალებას. *სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯის ვებგვერდი [www.gorimuscollege.edu.ge](http://www.gorimuscollege.edu.ge) ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია კატალოგი, იურიდიული და ნორმატიული დოკუმენტები, საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სხვა. აქვეა ინფორმაცია კოლეჯში ჩატარებული აქტივობების შესახებ, კოლეჯის ცხოვრების ამსახველი ფოტოგალერეა. აქვს გვერდი საინფორმაციო საიტ [Codna.ge](http://Codna.ge)-ზე <http://webgeorgia.ge/category/ganatileba/kolejebi> დღეისათვის სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს კოლეჯის მუდმივად განახლებადი ვეისბუკ-გვერდი – „გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი“*

- აღწერეთ საზოგადოების/ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის რა მექანიზმებს იყენებთ (სამუშაო ჯგუფები, თემატური შეხვედრები და ა.შ.); სისტემატურად ტარდება პრეზენტაციები, ღია კარის დღეები, მასტერკლასები და სამუშაო შეხვედრები რეგიონის მასწავლებლებთან.

##### 9.2 თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

- ცხრილის სახით წარმოადგინეთ თანამშრომლობა ადგილობრივ დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან სერვისების/ პროგრამების/პროექტების ფარგლებში. ცხრილის ნიმუში, **იხ. დანართი #6.**

##### 9.3 ანგარიშვალდებულების სისტემა

- აღწერეთ ანგარიშვალდებულების რა სისტემას იყენებთ (კვარტლის, ყოველწლიური ანგარიშები, პრესკონფერენციები და ა.შ.) სამეთვალყურეო საბჭო, პედსაბჭო, თვითშეფასება
- ყოველწლიურად, ივნისის ბოლოს, კოლეჯი ვალდებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინოს თვითშეფასების კითხვარი – წლიური

ანგარიში, სადაც თავმოყრილია სრული ინფორმაცია დაწესებულებისა და საანგარიშო პერიოდში მისი საქმიანობის შესახებ. ამისთვის აპრილის თვიდან იქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ატარებს კოლეჯის საქმიანობის SWOT ანალიზს მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლისა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვის გათვალისწინებით. კოლეჯის დირექტორი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს. სამეთვალყურეო საბჭო ისმენს ასევე კოლეჯის სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალურ ანგარიშსაც. ანგარიშების წარდგენა შემდეგ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ხდება. კოლეჯის პედაგოგიურ საბჭოზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სემესტრული ანგარიშების წარდგენა, საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი, მათი კორექტირების ან მოდიფიცირებისათვის გაწეული საქმიანობის განხილვა და ახალი პროგრამების დამტკიცება.

## 10 დასკვნები და რეკომენდაციები

- წარმოადგინეთ ინდივიდუალურ თუ სტრუქტურულ დონეზე შემოთავაზებული რეკომენდაციები.

## 11 დანართები (დანომრეთ და დაასათაურეთ თითოეული დანართი).

## ნაწილი II - სერვისების, პროგრამების, პროექტების აღწერა

მოცემულ ფორმატში აღწერეთ 2017 წელს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები/განხორციელებული/განსახორციელებელი სერვისები, პროექტები, პროგრამები.

2017 წელს ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის სრულყოფა: ძველი პროგრამების მოდიფიცირება ახალი ტიპის (მოდულურ სწავლებაზე) გადასასვლელად და ახალი სამუსიკო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. ამისათვის კოლეჯში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც სწავლობს შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისობას. ხდება ცალკეული მოდულების ადაპტირება ახალი სასწავლო პროგრამების მოთხოვნებთან, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, მასწავლებელთა მომზადების ცენტრსა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად დაგეგმილია ტრენინგები პროფესიული მასწავლებლებისა და ხარისხის სამსახურის ჯგუფის გადასამზადებლად. ივნისის თვეში კოლეჯის თვითშეფასების კითხვართან ერთად მოხდება მოდიფიცირებული და ახალი პროფესიული პროგრამების წარდგენა ხარისხის ცენტრში, მათი ავტორიზაციისა და საშემოდგომო მიღებისათვის დანერგვისათვის.

შესაძლებლობის ფარგლებში, წარმოადგინეთ თითოეული სერვისის, პროექტის, პროგრამის აღწერა შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. სერვისის/პროგრამის/პროექტის მართვა

ზოგადი ინფორმაცია

2. პრობლემის აღწერა/დასაბუთება;
3. მიზნები და ამოცანები;
4. ბენეფიციარები და სამიზნე აუდიტორია;
5. განხორციელების გზები;
6. სერვისის, პროგრამის, პროექტის განხორციელების ვადები;
7. საბოლოო შედეგები;
8. მონიტორინგი და შეფასება:
  - ინდიკატორები (შეფასების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები);
  - ინდიკატორების შესრულების ვერიფიკაციის წყაროები.
9. სერვისის, პროექტის, პროგრამის ბიუჯეტი;
10. PR/საკომუნიკაციო სტრატეგია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ყურადღება !**

1. დანართებში-ორგანიზაციის დასახელებაში ყველგან უთითებთ თქვენი ორგანიზაციის დასახელებას
2. ანგარიშის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს შრიფტით: Sylfaen, ზომით 11.
3. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას 12/14 ზომის შრიფტი.
4. ანგარიშის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით.
5. ანგარიშის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.15.
6. ანგარიშის თავის და ქვეთავის დასახელება და თანმიმდევრობა არ შეცვალოთ!!! თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ასევე, არ შეცვალოთ ცხრილების თანმიმდევრობა
7. ფურცელზე ტექსტი უნდა იყოს ორივე მხრიდან გასწორებული (Justified).

**დანართები**

**დანართი #1: საშტატო ნუსხა სახელფასო განაკვეთების მითითებით, ცხრილის ნიმუში**

ორგანიზაციის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია	თანამშრომელთა რაოდენობა	საშტატო ერთეული	ერთეულის რაოდენობა	სახელფასო განაკვეთი
სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	<a href="mailto:gori.college@yahoo.com">gori.college@yahoo.com</a> tel.:+995599552273	44	37+2(საკ.შემოსავლები)	39	
		ადმინისტრაციული პერსონალი			

		დირექტორი	1	1050	12600
		დირექტორის მოადგილე (ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი)	1	830	9960
		მენეჯერი (მატერიალური რესურსების)	1	780	9360
		მთავარი ბუღალტერი	1	780	9360
		მენეჯერი (სასწავლო პრაქტიკის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის)	1	260	3120
		კადრების სპეციალისტი	1	330	3960
		კონსულტანტი	1	500	6000
		შესყიდვების კოორდინატორი	1	150	1800
		იურისტი	1	480	5760
		<b>მომსახურე(დამხმარე პერსონალი)</b>			
		ბიბლიოთეკის გამგე	1	330	3960
		ბიბლიოთეკარი	1	320	3840
		სპეციალისტი(ფონოთეკარი)	1	230	2760
		ქსელის ადმინისტრატორი	1	280	3360
		<b>პედაგოგიური რესურსი</b>			
		მასწავლებელი	2	720	17280
		მასწავლებელი	10	480	57600
		მასწავლებელი	10	360	43200
		კონცერტმაისტერი	2	360	8640
		სულ	37		202560
		<b>მასწავლებელი(საკუთარი შემოსავლები)</b>	2	500	12000

**დანართი #2: მოსწავლეთა კონტიგენტი ცხრილის ნიმუში**

#	ორგანიზაციის დასახელება	რამდენწლიანი სწავლება ხორციელდება დაწესებულებაში	მოსწავლეთა /სტუდენტთა საერთო რაოდენობა	მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდენობა სპეციალობების მიხედვით	შენიშვნა
1.	სსიპ-ქ.გორის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი	ს.ცინცაძის სამუსიკო პროგრამები-2 და 3 წელი ბ)სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამებზე-11 წელი	ა) 21 სტუდენტი ბ) 106 მოსწავლე	ა)შემსრულებელ-ილუსტრატორი - 6 სტუდენტი; გუნდის ლოტბარი/რეგენტი - 2 სტუდენტი; ვოკალური ანსამბლის და გუნდის მომღერალი - 13 სტუდენტი ბ)ფორტეპიანო-63 მოსწავლე, საორკესტრო-13 მოსწავლე, საგუნდო-სადირიჟორო-30 მოსწავლე	
2.					

3.							

**დანართი #3: პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსები, ცხრილის ნიმუში**

№	ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგ-კურსის დასახელება	თემატიკა	ტრენინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია	ტრენინგის ვადები	ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა	საფასური	დაფინანსების წყარო
1.	სსიპ - ქ. გორის ს. ცინცაძის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	ტრენინგი საჯარო პროფესიული / საზოგადოებრივი კოლეჯებისა თვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების განვითარების მიმართულებით.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების განვითარება. ტრენინგში მონაწილეებმა შემდგომში ადგილზე უნდა გაუწიონ კონსულტაციები თანამშრომლებს პროგრამებისა და სილაბუსების განახლების პროცესში.	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური	1 დღე	4		ორგანიზაციის ბიუჯეტი/თვი თდაფინანსება
2.		საშემოდგომო მიღების აპლიკანტთა რეგისტრატორების ტრენინგი.	პროფესიული ტესტირების დროს აპლიკანტთა რეგისტრაციის გაცნობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი	1 დღე	1		
3.		საშემოდგომო მიღებისათვის ანკეტა-კითხვარის შევსებასთან დაკავშირებული ტრენინგი	საშემოდგომო მიღებისათვის ანკეტა-კითხვარის შევსების გაცნობა	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი	1 დღე	2		
4.		ტრენინგი - პროფესიულ	პროფესიულ საგანმანათლ	სსიპ - განათლების	1 დღე	2		

		საგანმანათლებლო დაწესებულებებში შიდა კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება.	ებლო დაწესებულებებში შიდა კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება.	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი				
5.		კომპანია "ინგლისური წიგნი საქართველოში" - ტრენინგი ინგლისური ენის მასწავლებლებსათვის.	ინგლისური ენის სახელმძღვანელო „Open Mind“ გაცნობა და განხილვა.	კომპანია "ინგლისური წიგნი	3 დღე	1		
6.		განათლების სამართლის სემინარი.	1. განათლების სამართლის მიმართ წყენებული მოთხოვნები; 2. ხარისხის კულტურა: ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობი შიდა და გარე მექანიზმები; 2. თვითშეფასების კავშირის კვალიფიკაცია ათა ჩარჩოსთან, დარგობრივ მახასიათებლებთან და დაწესებულებების შიდა სტანდარტებთან; 3. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საქმისწარმოება: მამიებლად ცნობიდან - გადაწყვეტილების მიღებამდე;	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	2 დღე	1		

			4. აკრედიტაციის საქმისწარმოების პრაქტიკის განზოგადება.					
7.		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ისეთი აუცილებელი გარემოსა და საჭირო მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავების პროცესი და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხები	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი გარემოსა და საჭირო მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების შემუშავების პროცესის და მასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხების განხილვა.	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	1 დღე	2		
8.		ტრენინგი-საჯარო და კერძო სკოლის ინგლისურ ენის მასწავლებლებსათვის, ასევე პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებსათვის.	1. Pair and group work: it's not what you do, but how you do it; 2. Listening skills: the coursebook and beyond 3. Error correction: how and why?	შპს „ინგლისური წიგნი საქართველოში“, Macmillan Education	3 დღე	1		
9.		ზოგადი კომპეტენციების მოდულების განხილვა პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებისათვის.	ახალი პროგრამის ჩარჩო ითვალისწინებს სავალდებულო ზოგადი კომპეტენციების	პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის ხელშეწყობის პროგრამის სამსახური	1 დღე	1		

			მოდულებს, სავალდებულო პროფესიულ მოდულებსა და არჩევით პროფესიული მოდულებს.					
10.		„ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგი პროფესიული სასწავლებლებსა და მასწავლებლებსთვის“.	მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირების გზით სასწავლო გარემოს გაუმჯობესება; 1. პროგრამებში Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook მუშაობა და სასწავლო რესურსების შექმნა სასწავლო პროცესში გამოყენების მიზნით. 2. ინტერნეტ რესურსების: საძიებო სისტემების, ელექტრონული ფოსტის გამოყენება, ინფორმაციის გადმოწერა ინტერნეტიდან;	სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“.	4 დღე	20		
11.		ტრენინგი - „განათლების ხ	„განათლების ხარისხი და ე	განათლების ხარისხის განვითარება	1 დღე	1		

		არისხი და ელექტრონული მართვა".	ლექტრონული მართვა". ტრენინგის მიზანია განათლების ხარისხთან, ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებული ავტომატიზაციის პროცესების გაცნობა.	რების ეროვნული ცენტრი				
12.		მოდულური პროგრამების დანერგვის ახალ ეტაპთან დაკავშირებული საკითხების განიხილვა.	მოდულური პროგრამების დანერგვის ახალ ეტაპთან დაკავშირებული საკითხების განიხილვა; პრეზენტაცია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული განათლების მიმართულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების შესახებ.	განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და ცენტრის პროფესიულ კვალიფიკაციით განვითარების ხელშეწყობის პროგრამა.	1 დღე	1		
13.		მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით და მილენიუმის პროექტის კარიერის მენეჯერების ტრენინგი.	სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა ტრენინგების დაგეგმვა საწარმოებში.	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	2 დღე	1		
14.		მენეჯერების/ხელმძღვანელების ტრენინგი.	მენეჯერების/ხელმძღვანელების	MCA-G პროექტი „პროფესიული	1 დღე	2		

			ტრენინგი. შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის გამოყენება.	განათლება ეკონომიკის განვითარებისა თვის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით				
15.		პროფესიული განათლების ინგლისური ენის მასწავლებელთა ა დონის განმსაზღვრელი ტესტი.	მასწავლებელთა ბის საჭიროებების დადგენა, შემდგომი ტრენინგები ს დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების ს მიზნით.	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	1 დღე	1		
16.		ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი/ PAO ხელმძღვანელობით - ტრენინგ- სემინარი.	ევროკავშირის დახმარების პროგრამების/ ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა, მათი კრიტერიუმები და პრიორიტეტები, რათა უკეთ მოხდეს მათი გამოყენება ასოციაციის შეთანხმების განხორციელების პროცესში.	ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტი/ PAO	1 დღე	1		
17.		მუსიკის რეპეტიტორის პროფესიის პედაგოგების გადამზადების ტრენინგი.	სასწავლო პროცესში მასში შემავალი საკითხების სწორი მეთოდური და პრაქტიკული მიწოდება პროფესიული პროგრამის მოსწავლეების სთვის.	პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	3 დღე	5		
18.		პიანისტ- აკომპანიატორის პროფესიის	სასწავლო პროცესში მასში	პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების	3 დღე	6		

		პედაგოგების გადამზადების ტრენინგი.	შემავალი საკითხების სწორი მეთოდური და პრაქტიკული მიწოდება პროფესიული პროგრამის მოსწავლეები სთვის.	ხელშეწყობის პროგრამა				
19.		საჯარო პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულურ სწავლებაში	1. პროფესიული სტანდარტების შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ ცოდნა; 2. მოდულის/პროგრამის სქემის შესახებ ცოდნა; 3. სტუდენტთა შეფასების წესები და მეთოდების ცოდნა; 4. მასწავლებელთა კომპეტენციები მოდულური სწავლების დანერგვასთან დაკავშირებით.	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	1 დღე	20		
20.		ტრენინგის სასწავლო მიზნები და პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთაშორისო მობილობის მოდულის განხილვა.	სწავლის შედეგები – ტრენინგის სტრუქტურის მასწავლებლების საერთაშორისო მობილობა-დადებითი და უარყოფითი მხარეები.	ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტი (EUVEGE), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.	2 დღე	3		

**დანართი #4: მატერიალურ - ტექნიკური რესურსები ცხრილის ნიმუში**

#	ორგანიზაციის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია	შენიშვნის საერთო ფართი (კვ.მ.)	მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდენობა	მსხვილი საოფისე ტექნიკის დასახელება	რაოდენობა	სახელოვნებო ინსტრუმენტების	რაოდენობა
---	-------------------------	-----------------------	--------------------------------	--------------------------------	-------------------------------------	-----------	----------------------------	-----------

				ბისა და დაკავებულ ფართის თანაფარდობა			დასახელება	
1.	სსიპ-ქ.გორის ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	<a href="mailto:gori.college@yahoo.com">gori.college@yahoo.com</a> tel.:+995599552273	1078,80კვ.მ	8.49 კვ.მ ერთ სტუდენტზე/მოსწავლეზე	კომპიუტერი, ლეპტოპი, ციფრული ვიდეოკამერა, ფოტოკამერა პრინტერი კომპანი(პრინტერი, სკანერი). მონიტორი(ტელევიზორი).	13 1 1 1 2 5 1	როიალი პიანინო არფა, ვიოლინო, ჩელო, კონტრბასი, ლიტავრები. სასულე საკრავების ფლეიტა;	16 13 1 6 2 1 1 1 3
2.								
3.								

**დანართი #5: ორგანიზაციის ბიუჯეტი ცხრილის ნიმუში**

#	ორგანიზაციის დასახელება	საკონტაქტო ინფორმაცია	ორგანიზაციის ბიუჯეტი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან /ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული დაფინანსების რაოდენობა	დონორებიდან მიღებული თანხის რაოდენობა (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განჩინებული სასწავლო ვაუჩერი	შენიშვნა		
1.	სსიპ-ქ.გორის ს.ცინცამის სახელობის სამუსიკო საზოგადოებრივი კოლეჯი	<a href="mailto:gori.college@yahoo.com">gori.college@yahoo.com</a> tel.:+995599552273	248782 ლარი	242000 ლარი	6782 ლარი			
2.								
3.								

**დანართი #6: თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ცხრილის ნიმუში**

#	ორგანიზაციის დასახელება	სერვისის/პროგრამის/პროექტის დასახელება	განხორციელების ვადები	პარტნიორი/დონორი ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	თანამშრომლობის ფორმა	თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებები	ფინანსური სარგებელი/ვალდებულებები
1.		-						
2.		-						
3.		-						

გმადლობთ თანამშრომლობისათვის

ASAP